პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 175 (12991) | ოთხშაბათი, 29 ივლისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ახალგაზრდა გეინკალთა ბრიგადა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის ახალი საამქროს მშენებლობაზე ბევრმა უბანმა, ცვლამ, ბრიგადამ, მშენებელმა და მემონტაჟემ გამოიჩინა თავი. მათ შორის არის ახალგაზრდა ზეინკალთა ბრიგადა, რომელსაც ლ. კუსიანი უძღვება. ამ ბრიგადამ აქტიური მონაწილეობა მიიღო პირველი და მეორე დახურული ელექტროღუმელების მშენებლობაში და ასევე თავდადებულად შრომობს ღუმელების მეორე რიგის მშენებლობაზე.

ბრიგადაში ცხრა ვაჟკაცი და ერთი ქალია. ქართველ ვაჟკაცებს ლ. კუსიანს, ვ. ლაბაძეს, ა. აბულაძეს, ო. ბრეგვაძეს, ზ. ორატაშვილს, ე. მველიძეს, ბ. მჭედლიძეს, ვ. წაქაძეს, ზ. სვიანაძეს დაუმეგობრდა უკრაინელი ქალიშვილი ა. ოსტროუშკო, რომელიც ამწეს მემანქანეა.

ბრიგადა ერთსულოვნად და შეუპოვრად მუშაობს. მას სამშენებლო ობიექტებზე ააქვს 30 ტონა რკინაბეტონი და ლითონკონსტრუქციები და არა მარტო ააქვს, ამონტაჟებს კიდეც, დიდი გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს.

სურათზე: ლ. კუსიანის ბრიგადა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რიჩარდ ო. ბატლერი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 28 ივლისს კრემლში მიიღო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რიჩარდ ო. ბატლერი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში. რიჩარდ ო. ბატლერთან ერთად იყვნენ დიდი ბრიტანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში სერი ჰემფრი ტრეველიანი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე სერი ჰაროლდ კაჩია, მინისტრის მოადგილის თანაშემწე ა. დ. ვილსონი, მრჩეველი ჯ. ნ. ჰენდერსონი.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და რიჩარდ ო. ბატლერს შორის გაიმართა გულახდილი, მეგობრული საუბარი ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ა. ა. სოლდატოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეორე განყოფილების გამგე ა. ა. როშჩინი. (საკდესი).

უ ტანი მოსკოვში ჩამოვიდა

მოსკოვი, 28 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის მოწვევით დღეს მოსკოვში ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი.

შერმტიეევს აეროდრომი მორთული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცისფერი ალმებითა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით.

აეროდრომზე უ ტანისა და მის თანმხლებ პირთა შესახვედრად მოვიდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო და სხვა ოფიციალური პირნი.

შეხვედრთა შორის იყვნენ ბირმის კავშირის ელჩი სსრ კავშირში უ ბა სო, საბჭოთა დაუცხოელი ჟურნალისტები.

ა. ა. გრომიკომ და უ ტანმა წარმოთქვეს მისასალმებელი სიტყვები.

აეროდრომზე უ ტანმა გააკეთა განცხადება. მან აღნიშნა, ფრიად მოხარული ვარ, რომ კვლავ ვეწვიე მოსკოვსო. მინდა მადლობა გადავუხადო საბჭოთა მთავრობას, თქვა უ ტანმა, იმ თავაზიანობისათვის, რომელიც ჩემდამი გამოიჩინა, როცა საბჭოთა კავშირში მომიწვია.

უ ტანმა განაცხადა, რომ იგი მოუთმენლად მოელის აზრთა გაზიარებას ნ. ს. ხრუშჩოვთან და ა. ა. გრომიკოსთან იმ საკითხებზე, რომლებიც საინტერესოა როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის.

უ ტანმა ყოველივე საუკეთესო უსურვა საბჭოთა კავშირის ხალხებს.

„მოდით ერთად, ხელიხელჩაჭიდებულმა ვიმუშაოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად და, ამრიგად, მშვიდობის განმტკიცებისათვის, მთელი კაცობრიობის აყვავებისა და პროგრესისთვის", — თქვა უ ტანმა.

რკინიგზელის დღის შესახვედრად

რკინიგზელის დღის აღსანიშნავად ბევრი სიახლე გაჩნდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე.

ქობულეთ-ჩაქვის გადასარბენზე აშენებულია გზახიდი. ახლა ავტომანქანების ნაკადი გაივლის ხიდის ქვეშ. ხოლო ნავთლუღ-სოღანლუღის გადასასვლელზე დამონტაჟებულია ავტომატური შლაგბაუმი. როდესაც მატარებელი უახლოვდება გადასასვლელს, შლაგბაუმი ავტომატურად უკეტავს გზას ავტომობილს. მაგისტრალის მთელი რიგი სხვა გადასასვლელები აღჭურვილია ავტომატური სიგნალიზაციით, რომელიც აუწყებს მძღოლს მატარებლის მოახლოებას.

ასობით რკინიგზელთა ოჯახი გახდა ახალმობინდრე. თბილისში ისინი შეასახლეს შვიდ მრავალსართულიან სახლში. (საკდესი).

უკანასკნელ საათს

ლ. ერჰარდმა მიიღო ა. აჯუბეი

ბონი, 28 ივლისი. (საკდესი). დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ლ. ერჰარდმა თავის რეზიდენციაში — შაუმბურგის სასახლეში მიიღო გაზეთ „იზვესტიის" მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი, რომელიც დასავლეთ გერმანიაში იმყოფება გაზეთების „რურ-ნახრიხტენის", „რაინიშე პოსტისა" და „მიუნხენ მერკურის" მიწვევით.

ლ. ერჰარდი და ა. ი. აჯუბეი საუბრის დროს, რომელიც დაახლოებით საათნახევარს გაგრძელდა, შეეხნენ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს. საუბარში მონაწილეობდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შრედერი და მინისტრი ვესტრიკი, აგრეთვე „იზვესტიის" საერთაშორისო მიმომხილველი ნ. ე. პოლიანოვი.

გაზეთ „იზვესტიის" მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფება, ბონში შეხვდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს ვ. ბრანდტს.

ო. ბატლერი მოსკოვში

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოწვევით 27 ივლისს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რიჩარდ ო. ბატლერი მეუღლითურთ. მინისტრს ახლავან ოფიციალური პირები.

ვნუკოვოს აეროდრომზე შეხვედრის დროს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და რიჩარდ ო. ბატლერი მიესალმნენ ერთმანეთს.

(საკდესი).

სსრ კავშირის შეკვეთით

ჰელსინკი, 28 ივლისი. (საკდესი). დღეს ჰელსინკიში „ვიარტყილის" კონცერნის გემთსაშენმა წყალში ჩაუშვა მესამე პოლარული ყინულმჭრელი, რომელიც საბჭოთა კავშირის შეკვეთით აშენდა. ყინულმჭრელს, რომელიც პოლარეთის მძიმე პირობებში ცურვისათვის არის გათვალისწინებული და რომლის სიმძლავრე 22 ათასი ცხენის ძალაა, ეწოდა „კიევი". ყინულმჭრელს წყალში ჩაშვებას ესწრებოდა სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ა. ვ. ზახაროვი.

პრეზიდენტ მაკარიოსის პასუხი

ნიკოზია, 28 ივლისი. (საკდესი). დღეს კვიპროსის გაზეთები აქვეყნებენ კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტის მაკარიოსის პასუხს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ ტანისადმი. პასუხში ხაზგასმულია, რომ რესპუბლიკის მთავრობა სავსებით მზად არის ითანამშრომლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალებთან კუნძულზე მშვიდობისა და წესრიგის აღდგენის საქმეში. ამასთან კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ რესპუბლიკის ნავსადგურების ან სახელმწიფო დაწესებულებათა კონტროლს არ შეიძლება ახორციელებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალები.

მიწისძვრა დუშანბეში

დუშანბე, 28 ივლისი. (საკდესი). ტაჯიკეთის დედაქალაქის მცხოვრებნი დასაძინებლად ემზადებოდნენ, როდესაც მკვეთრმა ბიძგმა შეაზანზარა სახლები. ეს მოხდა 27 ივლისს 22 საათსა და 46 წუთზე ადგილობრივი დროით.

ახალი მიწისძვრის ეპიცენტრი, აცნობა საკდესს კორესპონდენტს სეისმური სადგურის „დუშანბეს" გამგემ, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატმა პ. გ. სემენოვმა, მდებარეობდა ქალაქის მახლობლად, ყიშლაყ ალმასის რაიონში და შედარებით მცირე სიღრმეზე — 25 კილომეტრზე. აქ ტაჯიკეთის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სეისმური ზონაა, რომელიც ტექტონურ გადანატეხებთან არის დაკავშირებული გისარის მთავრეხლის ძირის გასწვრივ. ეს გადანატეხები ტაჯიკეთის დედაქალაქის მიდამოებშიც ვრცელდება.

მიწისძვრის ძალა დუშანბეში ოთხ ბალს აღწევდა. ეს ყველაზე ძლიერი მიწისძვრა იყო წელს.

წარმოების მეთაური

ეხელმძღვანელო წარმოებას, დარაზმო კოლექტივი სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად — უდავოდ დიდი პასუხისმგებლობაა. რომ უხელმძღვანელო, უნდა იყო კარგი ორგანიზატორი და წარმოების ეკონომიკის ღრმა მცოდნე. ქარხნის წინამძღოლს უნდა შეეძლოს ჩაიხედოს წარმოების სარეში — პროდუქციის თვითღირებულებაში, სწრაფად მიხვდეს, სად არის წარმოების ვიწრო ადგილი, და უმალვე მიიღოს ყველა ღონისძიება მდგომარეობის გამოსასწორებლად. სხვანაირად არც შეიძლება.

პროდუქციის თვითღირებულება ძირითადი მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს საწარმოს მუშაობის ხარისხს. თვითღირებულება კონცენტრირებულად ასახავს, თუ რამდენად მომჭირნეობთან და ყაირათიანად უძღვება მეურნეობას ეს თუ ის ხელმძღვანელი, რამდენად უნარიანად იყენებენ საწარმოში არსებულ ტექნიკას, როგორ არის მოწყობილი ადამიანების შრომა, როგორ ზრუნავენ იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს.

დირექტორს თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო მეტი მოეთხოვება, ვინაიდან დღეს ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები აღჭურვილი არიან უახლესი ტექნიკით. კოლექტივის თითქმის 40 პროცენტზე მეტს უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს. ქარხნის მმართველობაში მონაწილეობას იღებენ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ფართო მასები, შექმნილია ეკონომიური ანალიზის საზოგადოებრივი ბიუროები, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები, რომლებიც ფხიზლად ადევნებენ თვალს წარმოების მუშაობას და რაიმე გადახარჯვისა და ნაკლის შემთხვევაში დროულად აყენებენ საკითხს მის აღსაკვეთად.

დიდია დირექტორის როლი შვიდწლედის ექვს წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლაში. იქ, სადაც წარმოების ხელმძღვანელი თავის სიმაღლეზე დგას, დიდი ხანია უკან მოიტოვეს შვიდწლედით გათვალისწინებული საკონტროლო ციფრები და გაბედულად მიიწევენ წინ ახალი მიჯნების დასაპყრობად.

ჩვენს საწარმოებში გვყავს წარმოების კარგი დირექტორები, რომლებმაც პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობით შეძლეს კოლექტივების დარაზმვა და სახელმწიფო გეგმების ყველა მაჩვენებლით შესრულება, მკვეთრად გაუმჯობესეს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები და წარმოების დირექტორის კარგი სახელი დაიმკვიდრეს.

1956 წლამდე თბილისის კერამიკულ კომბინატს ქალაქის საწარმოთა მწყობრში უკანასკნელი ადგილი ეჭირა, ჩამორჩებოდა გეგმის შესრულებაში, განიცდიდა დიდ ფინანსურ გაჭირვებას. ქალაქისა და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე ავად იხსენიებდნენ ამ წარმოების ხელმძღვანელებს, რომლებიც თავიანთი უუნარობით ჩრდილს აყენებდნენ მთელი კოლექტივის მუშაობას. შეიცვალა ხელმძღვანელობა. დირექტორად დაინიშნა ამხ. ვ. შრუშაძე. დანარჩენი წარმოებაში ყველაფერი უცვლელად დარჩა, ტექნიკაც და ადამიანებიც. ორი წლის გონივრული მუშაობით კომბინატში ადამიანების შრომამ უკეთესი ნაყოფი გამოიღო, წარმოება წელში გაიმართა, მოწინავე ფაბრიკა-ქარხნებს ფეხი აუწყო, დადებითად აფერდნენ კომბინატის შრომითი მაჩვენებლებიც.

წარმოებაში კარგახანია მტკიცედ დაინერგა კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების წესები. აქ მთელ კოლექტივს კარგად აქვს შეგნებული, რომ ერთეულების მაღალნაყოფიერი შრომით ვერ მიაღწევენ წარმოების მაღალ ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს. ამიტომ წარმოების ყველა უბანზე გაჩაღდა ბრძოლა იმისათვის, რომ ნოვატორთა შრომითი მაჩვენებლის დონეზე აიყვანონ წარმოების საერთო მაჩვენებელი.

მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევით შარშან წარმოებამ დამსახურებულად მოიპოვა კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო წოდება.

მაღალნაყოფიერი შრომის სიკეთე ყველა მუშამ იგრძნო. კომბინატში შეიქმნა საწარმოო ფონდი, რომელიც მუშათა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ხმარდება. შვიდწლედის განვლილ პერიოდში ამ ფონდიდან აშენდა რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, სადაც 150-ზე მეტმა მუშამ მიიღო კეთილმოწყობილი ბინა, მუშათა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად დაიხარჯა 102,4 ათასი მანეთი, ერთდროული დახმარებისა და პრემიების სახით მუშებს მიეცათ 101,2 ათას მანეთზე მეტი, ხოლო მუშათა საგზურებზე 33,6 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა.

წარმოების ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს სისტემატურად აუმჯობესებენ და სამშობლოს ზეგეგმითს მოგებას აძლევენ ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა (დირექტორი ამხ. ვ. ხარებავა), თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი (დირექტორი ამხ. ბ. შარიპაძე).

მაგრამ არიან ისეთი დირექტორები, რომელთა უუნარო ხელმძღვანელობის შედეგად საწარმოები ნელობით ჩამორჩებიან. დიდი გადახარჯვები აქვთ და სახელმწიფოს დიდძალ ზარალს აყენებენ.

ბათუმის ხეტყის გადამამუშავებელ კომბინატში (დირექტორი მ. ღლონტი) სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად სისტემატურად უარესდება წარმოების ეკონომიური მაჩვენებლები, დაბალია მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები. აქ წლის მარტო ხუთ თვეში მოისწრეს 96.000 მანეთის გადახარჯვა.

ასევე სისტემატურად ჩამორჩებიან გეგმის შესრულებაში და აუარესებენ ეკონომიურ მაჩვენებლებს ცხინვალის სტაყეი კომბინატი (დირექტორი ლ. ცხოვრებოვი), თბილისის მშენებლობაში მყოფი მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკა (დირექტორი მ. ერასე). ამ საწარმოების მუშაობის შედეგები მოწმობენ, რომ მათს დირექტორებს არ შესწევთ უნარი ანალიზი გაუკეთონ წარმოების მდგომარეობას, დასახონ ქმედითი ღონისძიებანი ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

საწარმოები, რომლებიც უხეიროხელმძღვანელობის შედეგად უშვებენ დიდ გადახარჯვებს, ერთეულები რომელნი. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ არ შესრულებულა ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების შემცირების 1964 წლის პირველი ნახევრის გეგმა, რომელიც დაწესებული იყო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისათვის.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როცა ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები აღჭურვილი არიან უახლესი ტექნიკით, შექმნილია ყველა პირობა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ძირეულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საქალაქო და სამრეწველო-საწარმო პარტიულმა კომიტეტებმა, სახალხო მეურნეობის საბჭომ, მისმა შესაბამისმა სამმართველოებმა უფრო მეტი დახმარება უნდა გაუწიონ ჩამორჩენილ საწარმოებს, შეუქმნან ყველა პირობა მდგომარეობის გამოსასწორებლად და თუ წარმოების ხელმძღვანელები მაინც ვერ შეძლებენ ჩამორჩენის დაძლევას, გადახარჯვების აღკვეთას, მაშინ ისინი უნდა შევცვალოთ ისეთი ხელმძღვანელებით, რომლებსაც უნარი შეესწევთ უხელმძღვანელონ წარმოებას, დაძლიონ ჩამორჩენა, გაუმჯობესონ ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები და თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების საქმეში.

ფეიქართა წვლილი

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა შარშან უარი თქვა სახელმწიფო დოტაციაზე და წლის ბოლოს რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატი" მიიღო. წელს ფეიქრებმა კიდევ უფრო გაუმჯობესეს წარმოების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები და სამშობლოს შვიდი თვის გეგმის შესრულება 20 ივლისს უსატაკეს. გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 99.200 ცალი ტრიკოტაჟის საცვლები, 11,3 ტონა ნართი, გეგმასთან შედარებით პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება 1,3 პროცენტით გაზარდეს.

მოწყობილობის გონივრულად გამოყენებისა და შრომის ორგანიზაციის უკეთ დაყენების გზით **შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით ამაღლდა 3,3 პროცენტით, დაზოგილია 60,5 ტონა ბამბა, 0,5 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 194 ტონა პირობითი სათბობი, მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 350 ათასი მანეთი.**

კოლექტივის ამ დიდ წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვით № 1 სართავ და საფთილე-სალენტე სამკერვალეს, რომლებსაც უ. დათუნაშვილი და გ. გელენიძე ხელმძღვანელობენ. ყველას უსურვებენ და შრომის მისაბაძ მაგალითებს იძლევიან ბრიგადები, რომლებსაც ი. შარაშენიძე, და ს. მჭედლიშვილი თავკაცობენ.

გეგმა შესრულდა ორი კვირით ადრე

შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის წარმატებით შრომობს ჭიათურის მარგანტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი. ჩვენ ორი კვირით ადრე შეგასრულეთ მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების შვიდი თვის დავალება და აგვისტოს ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს გავუგზავნეთ ათასობით ტონა მარგანეცი.

ლენინელები იბრძვიან წლიური გეგმის ერთი თვით ადრე შესრულებისათვის.

ლ. ჩხაიძე, ჭიათურის მარგანტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს დირექტორი, ბ. მაზათაძე, მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანი.

ცხრა თვის დავალება გადაჭარბებით

მთელმა რიგმა საწარმოო სამმართველოებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა. **ბორის** საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.034.000 ცალი კვერცხი ნაცვლად ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული 1.865.000 ცალისა. **ახალქალაქელებმა** სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.872.000 ცალი, გეგმა კი 1.445.000 ცალის მიყიდვას ითვალისწინებდა. **მცხეთის** საწარმოო სამმართველომ სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა 100,5 პროცენტით შეასრულა, **ნაჩხერის** — 105,7, **ამბროლაურის** — 106,5, **მაიაკოვსკის** — 116,9, **მახარაძის** — 105,9, ხოლო **ლანჩხუთის** საწარმოო სამმართველომ — 107,8 პროცენტით.

ახალდაბის ავეჯი

ბორჯომი. (საკ. კორ.). ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 27 ათასი მანეთის ღირებულების ავეჯი. შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 2,9 პროცენტით.

მეავეჯეები ა. ბიჭიკაშვილი, ე. ბლიაძე, რ. ჩადუნელი, ნ. კიკაძე, ს. რომაშვილი შრომითს ვახტზე დგანან და ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 110-115 პროცენტით ასრულებენ.

ზაჰესელ ენერგეტიკოსთა ღარმატება

ზაჰესი. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენსანი ზაჰესის კოლექტივმა, რომელსაც მოპოვებული აქვს საქმთავარენერგოს სამმართველოსა და ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, წარმატებით შეასრულა მიმდინარე წლის შვიდი თვის დავალება. გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცა 23,7 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. ამასთან საკუთარ მოხმარებაზე დაზოგილია 80 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.



რაიონში პირველი

ფულეკაძის საწარმოო სამმართველოს სოფელ დიდი ჯიხაიშის წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა 25 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრიფეს და მრეწველობას ჩაუბარეს 136,4 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 136 ტონისა. მოკრეფილი ფოთლიდან 107 ტონაზე მეტი პირველი ხარისხისაა.

ჩაის ფოთლის კრეფაში დაწინაურდა ბრიგადა, რომელსაც ტ. აბზიანიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადის მეჩაიეებმა წლიური გეგმით გათვალისწინებული 62 ტონის ნაცვლად 69 ტონაზე მეტი ფოთოლი მოკრიფეს. გადაწყვეტეს სეზონის ბოლომდე სულ მოკრიფონ 80 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად ადრე ნაკისრი 72 ტონისა.

დიდჯიხაიშელი მეჩაიეები, რომლებიც ამჟამად საწარმოო სამმართველოს და პარტიული კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას ფლობენ, იმისათვის იბრძვიან, რომ სამშობლოს მისცენ 166 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად ადრე ნაკისრი 151 ტონისა.

ბ. გეგეჭკორი.

ბარაქალა თქვენ!...

წალენჯიხა. (საკ. კორ.). სოფელ წალენჯიხის კოლმეურნეობის მეჩაიეს ლენა ევსიას რაიონის გარეთაც კარგად იცნობენ. მან არა მარტო შრომით, არამედ ბავშვების კარგი აღზრდითაც გაითქვა სახელი.

ლენა ევსია რვა შვილის დედაა. იგი 0,7 ჰექტარ ჩაის პლანტაციას უვლის. 15 წლის მანძილზე შრომისმოყვარე ქალი ყოველწლიურად 8-9 ტონა „მწვანე ოქროს" კრეფს. შარშან კი 11 ტონა მოკრიფა.

წელს ეს წარჩინებული მეჩაიე იბრძვის 12 ტონა ხარისხოვანი ჩაისათვის, გეგმა კი 5 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს. უკვე მოკრიფა 7 ტონაზე მეტი. ლენას 5 შვილს მოკრეფილი აქვს 4 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო".

დნეპროპეტროვსკის კური

დნეპროპეტროვსკი, 27 ივლისი. (საკდესის კორ.). დნეპროპეტროვსკის ოლქის მექანიზატორები დადგნენ საოქტომბრო შრომითს ვახტზე. მკის მაღალმა ტემპმა საშუალება მისცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყოველდღიურად გაგზავნონ სახელმწიფო ბეღლებში ორ-ორი მილიონი ფუთი მარცვალი. მისაღებმა პუნქტებმა უკვე მიიღეს 25 მილიონი ფუთი დნეპრისპირეთის პური — 2,5 ჯერ მეტი, ვიდრე შარშან ამ დროს. ყველაზე მეტი მარცვალი გაგზავნეს მისაღებ პუნქტებში ნიკოპოლისა და პეტროპავლოვკის საწარმოო სამმართველოთა მშრომელებმა. ახლა მინდვრებში მუშაობს 3,5 ათასი კომბაინი, ხოლო მოსავლის გადატანაზე დაახლოებით 10 ათასი ავტომანქანა.

დღედაღამ მიეცემა პურის ნაკადი. მოსავლის ძირითადი მასა პირდაპირ კომბაინებიდან მიდის მისაღებ პუნქტებში. პაველოგრადისა და მეჟიეკაიას წისქილებმა დაიწყეს ფქვილის წარმოება ახალი მოსავლის ხორბლისაგან. ქალაქებში უკვე გაჩნდა ახალი ფქვილის პურ-ფუნთუშეული.

ათი მილიონი ტონა ნავთობი

ლვოვი, 27 ივლისი. (საკდესის კორ.). „დამთავრდა მეათე მილიონი ტონა საბჭოთა ნავთობის გადატუმბვა ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში. დღეს გაიხსნა მეთერთმეტე მილიონის ანგარიში". ასეთი ცნობა მოვიდა დღეს სამაგისტრალო ნავთობსადენების „მეგობროგის" სამმართველოში ჩეხოსლოვაკიის დასა გუდკოვცევადან, სადაც ნავთობის ჩაბარების პუნქტია.

დიდი შრომითი გამარჯვება

სოციალისტური შეჯიბრება მაგნიტკისა და ნოვოკუზნეცკის მშენებელთა კოლექტივებს შორის მეორე დიდი შრომითი გამარჯვებით აღინიშნა. მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ კომბინატში გიგანტური ბრძმედის ამუშავების შემდეგ მწყობრში ჩადგა დასავლეთ ციმბირის მეტალურგიულ ქარხანაში მაღალმექანიზებული და ავტომატიზებული ბრძმედი. ახალი ბრძმედი, კომუნისტური მშენებლობის ეს საწარმო, საინჟინრო ნაგებობათა რთული კომპლექსია. მათი მშენებლობა ინდუსტრიული მეთოდებით ხორციელდებოდა, ფართოდ იქნა გამოყენებული პროგრესული ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, მოწყობილობისა და აგრეგატების მსხვილკვანძებად მონტაჟი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულთბილად მიულოცეს ციმბირის მეტალურგებს სამმართველოს მუშაკებს, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სამონტაჟო და სპეციალიზებულ ორგანიზაციათა მშრომელებს, აგრეთვე დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის მშრომელებს დიდი შრომითი გამარჯვება — მძლავრი ბრძმედის კომპლექსის მშენებლობის დამთავრება დასავლეთ ციმბირის მეტალურგიულ ქარხანაში. მისალმებაში აღნიშნულია, რომ ამ ქარხნის აშენება დიდმნიშვნელოვანი ეტაპია საბჭოთა კავშირის მესამე მეტალურგიული ბაზის შექმნის საქმეში, ეს მშენებლობა კონკრეტული ხორცშესხმაა, ციმბირის რაიონებში მრეწველობის განვითარების გეგმისა, რომელიც დასახულია სკკპ პროგრამით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები სწრაფად აითვისებენ და გადაჭარბებენ ბრძმედის საპროექტო სიმძლავრეს, ხოლო მშენებლები და მემონტაჟეები, გამოიყენებენ რა შეძენილ გამოცდილებას, კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებენ იმისათვის, რომ დაჩქარონ აგლომერაციული მანქანების, გამამდიდრებელი ფაბრიკის, საგლინავი ჩარხებისა და ქარხნის სხვა ობიექტების ამუშავება. (საკდესი).

დღესასწაული მამაცობის ქალაქში

ბრესტი, 27 ივლისი. (საკდესის კორ.). ქალაქის მშრომელები სიხარულით აღნიშნავენ გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებისაგან ბრესტის განთავისუფლების 20 წლისთავს. ოცი წლის წინათ 28 ივლისს ბუგზე მდებარე ქალაქიდან განდევნეს ოკუპანტები.

ამ დღეებში დასავლეთის საბჭოთა ფორპოსტის მშრომელებთან სტუმრად ჩამოვიდნენ ბრესტის ციხე-სიმაგრის თავდაცვის მონაწილე ს. მათვეოსიანი, ბრესტის განთავისუფლების მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი დ. კ. მალკოვი, ჩამოვიდა აგრეთვე დელეგაცია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დუბლინის სავოევოდოდან.

ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება. „სპარტაკის" სტადიონზე გაიმართა დიდი სპორტული დღესასწაული.

ხალხმრავალი მიტინგი...

ნოვოკუზნეცკი. (ცემეროვოს ოლქი), 27 ივლისი. (საკდესის კორ.). დღეს დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის მშენებლებსა და ექსპლოატაციის მუშაკებს დიდი ზეიმი აქვთ — ამუშავდა მძლავრი ბრძმედი, მიღებულია პირველი თუჯი. ბრძმედთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

დასავლეთ ციმბირის კომკავშირულ ორგანიზაციას სამუდამოდ გადაეცა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დროშა.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ნ. ს. ხრუშჩოვისადმი, რომელშიც პირობას იძლევიან მოკლე დროში აითვისონ პირველი გოლიათი ბრძმედის საპროექტო სიმძლავრე.

მოძმე აზერბაიჯანში

ბაქო. (საკდესი). დიდი წარმატება ჰქონდა აზერბაიჯანში აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის

„... ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის კომუნისტური ურთიერთობის განვითარება იწვევს ადამიანთა შეგნების გარდაქმნას კოლექტივიზმის, შრომისმოყვარეობისა და ჰუმანიზმის სულისკვეთებით“.

სკკპ პროგრამიდან.

კომუნისტური შრომის ავანგარდში

ტყვარჩელი რუსთავის შემდეგ საქართველოში მეორე ქალაქი იყო, რომელიც ჩაება კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქის სახელწოდების მოპოვებისათვის ბრძოლაში. თანამედროვეობის ამ შესანიშნავ მოძრაობაში აქტიურად ჩაებნენ ქალაქის წარმოება-დაწესებულებები, მშრომელთა კოლექტივები, რომელთა ავანგარდში უფლამ არიან პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები. მოვალეობის ღრმა შეგნება, დასახული მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში მაღალი პასუხისმგებლობა — აი ის მთავარი წყარო, რამაც ამ უკანასკნელ წლებში განაპირობა ბევრი კოლექტივის თვალსაჩინო წარმატებანი.

კარგად მიდის შვიდწლედის მეექვსე წელიც. წელს ქალაქის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის გეგმა ვადამდე გაანადღა და 100 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია მისცა სამშობლოს.

წლის დასაწყისში ტყვარჩელელმა მშრომელებმა ამოცანად დაისახეს არ მყოფდეთ არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კომუნისტური შრომის ავანგარდში მეშახტეები დგანან. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარმატებით დაძლიეს მკაცრი ზამთრით გამოწვეული სიძნელენი და პირნათლად გაანაღდეს ქვანახშირის ამოღების ექვსი თვის დავალება. დღეისათვის მრეწველობამ ტყვარჩელელი მეშახტეებისაგან გეგმის ზევით მიიღო 12 ათასი ტონა იაფი, ხარისხოვანი ქვანახშირი.

რთული სამუშაო პროცესების ავტომატიზაციამ და მექანიზაციამ საწარმოებში მნიშვნელოვნად აამაღლა შრომის ნაყოფიერება, მიდწეულია მასალების მომჭირნეობით ხარჯვა, შემცირდა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება. ახლა ტყვარჩელში ვერ ნახავთ ისეთ საწარმოს, რომელიც შვიდწლედის ვახტზე არ იდგეს და რეტაბელობისათვის, კომუნისტური შრომის საპატიო სახელის მოპოვებისათვის არ იბრძოდეს. ქალაქის ერთ საწარმოს, 5 უბანს, 6 საამქროს, 11 ცვლასა და 60 ბრიგადას მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელი. 1.200 მეშახტე, მშენებელი, ენერგეტიკოსი, ქვანახშირის გამამდიდრებელი თუ სხვა პროფესიის მუშა დამსახურებულად ატარებს კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდებას.

ქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მზრუნველობისა და კონკრეტული, მიზანსწრაფული ზეობაობის შედეგად ადამიანთა შეგნებაში სულ უფრო მკაფიო გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეხამება. ისინი კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების მისაბაძ მაგალითებს იძლევიან.

წლების მანძილზე გეგმების შესრულებაში ჩამორჩებოდა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საწარმო — მეორე შახტი. პარტიის საქალაქო კომიტეტმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელობასთან ერთად, შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი შახტის ჩამორჩენის დაძლევის მიზნით. ამას მოჰყვა მეორე შახტის პარტბიუროს (მდივანი შ. ჯინჯოლია), კომუნისტებისა და აქტივისტების მოღვაწეობის გამოცოცხლება. მათ გადასინჯეს ადგილზე არსებული შესაძლებლობანი, გამოავლინეს ჩამორჩენის ძირითადი მიზეზები და ღია პარტიულ კრებაზე დასვეს საკითხი შახტის გარლვეიდან გამოყვანის შესახებ.

კომუნისტებმა აშკარად, დაუფარავად ამხილეს ხელისშემშლელი მიზეზები, რომელთა შორის ერთ-ერთი ძირითადი იყო შახტის მოძრაობის უბნის მოუწესრიგებლობა. აქ ადგილი ჰქონდა ზნირ ავარიებს, სამთო მექანიზმების მოცდენას, არცთუ იშვიათი იყო შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები. კრებამ დაავალა პარტიულ ბიუროს, შახტის ადმინისტრაციას მიელოთ ქმედითი ზომები მდგომარეობის მკვეთრად გაუჯობესებისათვის. კრების მიერ მიღებული დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლა კომუნისტთა მუდმივი საზრუნავი გახდა. კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ ყველაზე გადამწყვეტ უბნებს. მკაცრად დაისაჯნენ უქნარები, შრომის დისციპლინის დამრღვევები.

შახტის ადმინისტრაციამ, ტრესტის დახმარებით შეცვალა ვაგონების პარკი. გადასინჯულ იქნა ზოგი რამ შრომის ორგანიზაციაშიც. ყოველივე ამან სასურველი ნაყოფი გამოიღო. შახტში წელს განუხრელად იზრდება ქვანახშირის ამოღება. მარტო ექვს თვეში აქ გეგმის ზევით მოპოვებულია რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი.

აქ უნდა აღენიშნოთ ზოგიერთი კომუნისტი ინჟინრისა და მეშახტის ისეთი პატრიოტული საქმე, როგორიც არის ჩამორჩენილ უბნებსა და ბრიგადებში საბუშაოდ გადასვლა. ასე მოიქცნენ, მაგალითად, ახალგაზრდა სამთო ინჟინერი კ. შარია, ნოვატორი მეშახტეები მ. ბიგვავა, ა. კობაიძე, ი. სორდია, მ. სემენოვი, ნ. გოგოხია, ა. ბუიანკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. მიქვაძია და სხვები, რომლებმაც მოწინავეთა დონემდე აიყვანეს თავიანთი ახალი სამოქმედო უბნები.

ლვგებსა და სანგრეგებში დანერგილმა მძლავრმა სამთო ტექნიკამ კიდევ უფრო ნაყოფიერი გახადა მეშახტეთა შრომა. სამთო მუშის მძიმე შრომა ავტომატიკამ და ტელემექანიკამ შეცვალა. საყელავი და ქვანახშირსატვირთავი მანქანების გვერდით მოის გულში გაჩნდნენ ქვანახშირის ახალი კომბაინები. მაგალითად, მეექვსე შახტში თითქმის ერთი წელია შეუფერხებლად ამუშავებს ქვანახშირის ფენებს მიწისქვეშა გიგანტი-კომბაინი „კ-52-მ“. მისი წარმადობა საათში 100 ტონას აღემატება. აღსანიშნავია, რომ ეს კომბაინი საქართველოში პირველად ტყვარჩელის მეექვსე შახტში დაინერგა. ამავე შახტმა ჩვენს ქვეყანაში პირველმა დანერგა 600-მეტრიან ბრემსბერგზე მუშახტეთა მექანიზებული წესით გადაყვანა.

ტყვარჩელის რაიონული სახელმწიფო თბოელექტროსადგური მთელი ქალაქის სიმამაცეა. მას გასული წლის დასასრულს მიენიჭა კომუნისტური შრომის საწარმოს სახელი. ეს პირველი საწარმოა არა მარტო ტყვარჩელში, არამედ აფხაზეთსა და ამიერკავკასიის ენერგოსისტემაში, რომელმაც მოიპოვა კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელი.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ ტყვარჩელშახტმშენის სამმართველოს, ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის, შახტი-ჰესის მშენებლებისა და სხვა საწარმოთა კოლექტივები. ტყვარჩელის მშრომელები მუშობენ დევიზით: ერთი ყველასათვის — ყველა ერთისათვის.

ტყვარჩელი კომუნისტური შრომის, ძმობისა და მეგობრობის ქალაქია. აქ ოცზე მეტი სხვადასხვა მოძმე ეროვნების წარმომადგენელი ხელიხელჩაკიდებული ცხოვრობს და შრომობს საერთო წარმატებათა მოსაპოვებლად. მთის გულში თუ მშენებლობათა ხარაჩოებზე, ვრცელ საამქროებსა თუ კინოთეატრებში, კულტურის სასახლესა თუ ბიბლიოთეკებში მუდამ ნახავთ ქართულ, რუსულ, აფხაზურ, უკრაინულ, სომხურ და სხვა ენებზე მოლაპარაკე მხიარულ ადამიანებს. მათ კარგად ესმით ერთმანეთის, პატივს სცემენ ერთმანეთს, მეგობრული გრძნობით არიან განწყობილნი.

მშრომელთა ინტერნაციონალური ალზრდა პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საშეურნეო ხელმძღვანელთა ყოველდღიური ზრუნვის საგანია. შახტებში, მშენებლობებზე, საწარმო-დაწესებულებებში, კულტურის კერებში ხშირად ეწყობა მეგობრობის საღამოები, შეხვედრები შრომის ნოვატორებთან, ძველ კომუნისტებთან, ქალაქის მშენებლებთან.

შრომამ დაამეგობრა და კომუნისტური სულისკვეთებით ზრდის ინდუსტრიული ტყვარჩელის მშრომელებს, რომლებიც ტრადიციულ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული ტყიბულელ, ახალციხელ, უკრაინელ და სევასტოპოლელ მეშახტეებთან და ენერგეტიკოსებთან. ახლა ტყვარჩელში ძნელია მოინახოს ისეთი ადამიანი, რომელიც გაურბოდეს სასარგებლო შრომას, ცხოვრობდეს სხვის ხარჯზე ან ესწრაფოდეს იოლი გზით არსებობას.

კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქის სახელწოდების მოპოვებისათვის გაშლილ ლაშქრობაში მონაწილეობენ ფართო მასები, მთელი საზოგადოებრობა. წესრიგის დამცველთა სადარაჯოზე დგანან სახალხო-რაზმელები. მათ ბევრი გზასაცდენილი ახალგაზრდა დაუბრუნეს კოლექტივს, აარიდეს მოსალოდნელი საფრთხეს.

უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინო სამუშაოები განხორციელდა ქალაქის კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის. ტყვარჩელელმა მეშახტეებმა, ენერგეტიკოსებმა და მშენებლებმა მხარი დაუჭირეს საგარეჯოელებს მშობლიური მხარის კეთილმოწყობისათვის. ამის პასუხად ტყვარჩელის თვითეულმა მშრომელმა გადაწყვიტა თავისი ქალაქის კეთილმოწყობისა და გამწვანების სახალხო საქმეს მოაბმაროს 7 საათი, ე. ი. ერთი სამუშაო დღე. ეს ბევრ რამეს ნიშნავს ტყვარჩელის გამშვენიერებისათვის.

უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში ტყვარჩელის ყველა ცენტრალური ქუჩა მოასფალტებულ იქნა, გაშენდა პარკი კულტურის სასახლის გვერდით. მოეწყო „ბავშვთა ქალაქი“, დაირგო 40 ათასი მარადმწვანე მცენარე. მწყობრში ჩადგა საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტყვარჩელის საყრდენი პუნქტის ორსართულიანი შენობა, ორი საბავშვო ბაღი 200 ადგილით. მეშახტეთა განკარგულებაშია აგრეთვე ორი სანატორიუმი-წყალსამკურნალო.

პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტი ყოველი ღონისძიებით იბრძვის ტყვარჩელის ენერგეტიკული პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ჩვენი საბრძოლო დევიზია ხელი შევუწყოთ შრომელთა მზარდ აქტივობას, ახალი, კომუნისტური შეგნების მქონე ადამიანის ფორმირებას.

ამჟამად მასებთან პოლიტიკურ მუშაობას ეწევა 620 აგიტატორი, რომელთა შორის 380 კომუნისტია. გამოცოცხლდა ლექციური პროპაგანდაც. მრავალი ასეული კაცი დაესწრო შახტებსა, საწარმოებსა და მშენებლობებზე წელს მოწყობილ ლექციებსა და მოხსენებებს. ფართო ალიარება პოვა თეორიული კონფერენციების მოწყობის პრაქტიკამ. გასულ სასწავლო წელს ქალაქში არსებულ მარტო კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ 64 წრესა და სემინარში 1.850 კაცი იყო გაერთიანებული. შექმნილია სახალხო უნივერსიტეტი სამი ფაკულტეტით.

გავრცელდა ზეპირი ჟურნალიც. მისი აქტიური ავტორები არიან პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორი გ. ჩიტაია, ექიმი ვ. ეთერია, სასამართლოს თავმჯდომარე ხ. პუდოვი, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი ნ. ლაზორინი.

ინდუსტრიული ტყვარჩელის მშრომელებს, რომლებიც დგანან კომუნისტური მომავლის კარიბჭესთან, სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში ალაფრთოვანებს ხალხის კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინათ დამთავრებული სესიის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

ლ. ქვარანძია,

საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ბუნების წიაღში

კომუნისტური დასვენების დღე თეთრ წყაროში

ეს იყო ნამდვილი ხალხური დღესასწაული თავისი მიმზიდველი ფერით და სურნელებით. თეთრი წყაროს მახლობელ ტყეში თავი მოეყარათ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, საწარმო-დაწესებულებათა მუშამოსამსახურეებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს თავიანთი ოჯახის წევრებით.

დაბურულ ტყეში ისმოდა ფოლ-გარმონის ეშხიანი ხმები, უკრავდა ზურნა, სასულე ორკესტრი, სმენას ატკბობდა ჭართული, სომხური, ბერძნული და რუსული მელოდიები. ათასი გასართობი იზიდავდა აქ მყოფ ადამიანს, ერთ ადგილას ქართულ ჭიდაობაში ერთმანეთს ეკიენეზოდნენ ჩაფსკენილი ბიჭები, ბევრი სიმძიმეთა აწევაში ცდიდა ბეჯს. ცეკვებსა და სიმღერებს ხომ დასასრული არ ჰქონდა.

დღის ორ საათზე მიკროფონთან მივიდა თეთრი წყაროს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ა. ბ ე ქ ა უ რ ი, რომელმაც სოფლის მშრომელებს მიულოცა ახალი წარმატებები წარმოების ინტენსიფიკაციის კეთილშობილურ საქმეში. როგორც წინასწარი ცნობებიდან ჩანს, თეთრწყაროელები სახელოვნად შეასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან 6 ათას ტონა მარცვლეულს, 13.600 ტონა კარტოფილს, 3.800 ტონა ბოსტნეულს, 2.360 ტონა ხორცს, 11.720 ტონა რძეს, 270 ტონა მატყლსა და სხვა პროდუქტებს.

თეთრწყაროელ მშრომელებს ნაყოფიერი შრომის შედეგ კეთილი დასვენება უსურვა დუშეთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. შ ა დ უ რ მ ა. მან ილაპარაკა თეთრწყაროელ და დუშეთელ კოლმეურნეთა სოციალისტურ შეჯიბრებაზე, რომელიც ტრადიციად იქცა.

მადლობა დიდი გრძნობით იყო გამსჭვალული ასურეთელი მოხუცი კოლმეურნის გ. გ ო გ ი ა შ ვ ი ლ ი ს სიტყვა: — მადლობა მშობიურ პარტიას ჩვენზე ზრუნვისათვის. პირობას ვიძლევი მომავალში კიდევ უკეთ ვიშრომო, რათა საქმით დავიფასო პენსია, რომელიც მე და ჩემი ასაკის სხვა კოლმეურნეებს დაგვენიშნება.

მიკროფონთან რიგრიგობით მიდიან ადამიანები, რომლებიც საკუთარი მარჯვენით იბრძვიან სოფლის მეურნეობის ყველა დარგის წინსვლისათვის. რესპუბლიკაში კარგად იცნობენ წალკელ მწვანლავს ფ. აბრამოვს, რომელმაც მიმდინარე წლის ექვს თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე 2.067 კილოგრამი რძე მიიღო. იგი მეგობრებს პირობას აძლევს, რომ თვითეულ ძროხაზე წლის ბოლომდე მიიღებს 3 ათას კილოგრამ რძეს.

საინტერესო იყო მანგლისის საბჭოთა მეურნეობის მწყეტლავის, ლენინის ორდენოსანი თ. მ ი გ რ ი ა ულ ი ს, „საქსოფტექენაკის“ თეთრი წყაროს რაიონული განყოფილების მუშის გ. კ ო ბ ა ხ ი ძ ი ს, ასურეთისა და ბორბალოს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების ვ. ჩ ო ბ ა ხ ა შ ვ ი ლ ი ს ა და ვ. ე ლ ი ზ ბ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს, წალკის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის პ. შ ა ხ ბ ა ზ ო ვ ი ს ა და სხვათა გამოსვლები.

დღე მიიწურა. მახლობელ მთებს სიბნელე შეეპარა, მაგრამ კვლავ ანათებდნენ ჯოგონები, კვლავ ისმოდა სიმღერები და მხიარული გადაძახილი უღრან ტყეებში, სადაც ასე ლაღად და შინაარსიანად დაისვენეს თეთრიწყაროელმა მხვნელ-მთესველებმა გასულ კვირას.

ა. თ ო მ ა ძ ე.

ვარტიული ცხოვრება

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

მოიჯარადრე მაყურებლის როლში

ამ სათაურით „კომუნისტის“ 10 იელისის ნომერში დაბეჭდა წერილი, სადაც მხილებული იყო რუსთავის თაბაშირისა და მსხვილპანელიანი გაგლინული ტიხრების ქარხნის მშენებლობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

წერილის გამო ტრესტ № 1 „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ მმართველი ზ. ჯაფარიძე და საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე შ. პაატაშვილი რედაქციას ატყობინებენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

15 ოგლისს მოწვეულ იქნა თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ყველა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, მშენებლობაში მყოფი ქარხნის დირექციამ, საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს უფროსმა და უფროსის მოადგილემ, სახალხო მეურნეობის საბჭოს მოწყობილობის კომპლექტაციის სამმართველოს უფროსმა, „საქსახპროექტის“ წარმომადგენლებმა, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელმა მუშაკებმა. თათბირმა განიხილა „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი. დადასტურებულ იქნა მოყვანილი ფაქტები და აღნიშნა, რომ მშენებლობის ახლანდელი ტემპი ვერ უზრუნველყოფს თაბაშირის სახარში და გაგლინული ტიხრების საამქროების დამთავრებას მომდინარე წელს, რის გამო აღნიშნული სამუშაოები მკვეთრად უნდა გაძლიერდეს.

ამასთან ერთად თათბირზე გამოვლენილ იქნა მშენებლობაში მყოფი ქარხნის დირექციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, რომელმაც, მიუხედავად მშენებლობის ხანგრძლივი პერიოდისა, დღემდე ვერ უზრუნველყო მემონტაჟეები ტექნოლოგიური და არასტანდარტული მოწყობილობით, ელექტროპროდუქციით და ზოგიერთი პროექტით. მშენებლებს არ გაარნიათ კომპრესორის საძირკვლის ნახაზები, გაზომარაგებისა და გარეორთქლის სამშენებელო ნაწილის პროექტი, თაბაშირის ანეგმოტრანსპორტის ნახაზები და სხვა.

ჯერ კიდევ 29 ერთეულ ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე ქარხანას არა აქვს არც ფონდები, არც განწესები, 7 მნიშვნელოვან ერთეულზე კი ფონდი გამოყოფილია მხოლოდ IV კვარტალში.

ელექტროაღჭურვილობიდან 34 ერთეული და 2 კომპლექტი დამიწების მოწყობილობა ქარხანას არ გაარნია.

აღჭურვილობით უზრუნველყოფის ვადების დადგენის შესაბამისად კორექტირებულ იქნება დარჩენილი სამუშაოების დამთავრების გრაფიკი იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტი მომდინარე წლის მეოთხე კვარტალში გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

თათბირზე აღინიშნა, რომ „მეტალურგპროკატმონტაჟმა“ არადამაკმაყოფილებლად დააკომპლექტა ეს უბანი მუშახელით. აუცილებელია ამ ორგანიზაციის მემონტაჟეების რიცხვი უახლოეს დღეებში გადიდდეს 25-30 კაცამდე (სამმართველოს უფროსი **იმნაძე**). დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს „პროგვენტილაციის“ უბანმა თავისი სამუშაოები (სამმართველოს უფროსი **ჩიკოვანი**). დამკვეთმა და სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველომ უახლოეს პერიოდში უნდა უზრუნველყონ დაუკომპლექტებელი აღჭურვილობისა და სპეციმასალების გამოყოფა და მიღება.

მუშაობის გაძლიერებისა და კონტროლის მიზნით ადგილზე ყოველკვირეულად, უშუალოდ მშენებლობაზე გაიმართოს ოპერატიული თათბირები. ასეთი თათბირი უკვე შედგა მომდინარე წლის 21 ივლისს.

თათბირმა შეიმუშავა ერთობლივი კონკრეტული ღონისძიებები რუსთავის თაბაშირისა და მსხვილპანელიანი გაგლინული ტიხრების ქარხნის მშენებლობის დაჩქარებისა და მისი დროულად საექსპლოატაციოდ გადაცემის უზრუნველსაყოფად.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲛᲝᲛᲖᲐᲠᲐᲓᲠᲔ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

ᲗᲐᲠᲝᲖᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲣᲜᲓᲔᲑᲐ

«ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ»

ᲞᲠᲐᲞᲐᲢᲘᲡ ᲕᲔᲚᲘ — ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲛᲑᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ,
29 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1964 Წ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

ᲞᲝᲛᲞᲘᲓᲣ ᲒᲔᲓᲚ ᲪᲓᲘᲡ

ᲡᲐᲖᲐᲠᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ

ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐ

ᲛᲝᲜᲢᲔᲕᲘᲓᲔᲝ, 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. საკდესის კორესპონდენტი ე. ელშოვი იუწყება: ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გადაწყვეტილებამ, გამოიყენონ ეკონომიური და დიპლომატიური სანქციები კუბის წინააღმდეგ დიდი აღშფოთება გამოიწვია ურუგვაის მშრომელებში. ურუგვაის დედაქალაქში იმართება ხალხმრავალი დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი სამარცხვინო ბოძზე აკრავენ იმათ, ვინც თათბირზე გამოვიდა თავისუფლების კუნძულის წინააღმდეგ. გამგელელთა ტაშის გრიალში დემონსტრანტები წარმოთქვამენ ლოზუნგებს რევოლუციური კუბის დასაცავად.

ურუგვაის მშრომელთა ერთიანი პროფკავშირული ცენტრის აღმასკომმა, რომელიც სასწრაფოდ შეიკრიბა, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დაადგინა მოაწყოს ახალი მასობრივი დემონსტრაცია და მიტინგი. „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის რეზოლუციები, — აღნიშნულია პროფკავშირული ცენტრის მიმართვაში ურუგვაის მშრომელებისადმი, — რომელიც ზეგავლენისა და მოსყიდვის გზით თავს მოახვია ამერიკის იმპერიალისტმა ამ ორგანიზაციას, ლათინური ამერიკის ყველა ხალხის შეურაცხყოფაა, პირდაპირი ხელყოფაა ურუგვაელი ხალხის ინტერესების და უფლებებისა, რომელსაც დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა აქვს კუბასთან“.

ურუგვაის გაზეთებიც გმობენ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს. „პრძანება შესრულებულია — სანქციები მიღებულია“, „ეროვნული სუვერენიტეტი საფრთხეშია“, „პროვოკაცია და უპასუხისმგებლობა“ — აი მთელი რიგი გაზეთების სათაურები, რომლებითაც დაბეჭდილია სტატიები თათბირის შედეგების შესახებ. „ნუ ჩავერევით კუბის საქმეებში!“ — მოუწოდებს გაზეთი „მანიანა“.

Ն. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲡᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ვ. პოდგორნი 27 ივლისს რუმინეთის სახალხო რეპუბლიკაში ჩამოვიდა მეგობრულ ვიზიტად და ეფორიაში შეხვდა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. გეორგე გეორგიუ-დეჟს.

შეხვედრას ესწრებოდნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ამხანაგები გეორგე აპოსტოლი, ემილ ბოფერიში და ნიკოლაე ჩაუშესკუ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი რუმინეთში ამხ. ი. კ. ქეგალინი.

საუბარი გულითად და ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა.

28 ივლისს ნ. ვ. პოდგორნი საბჭოთა კავშირში გაემგზავრა.

ნ. ვ. პოდგორნის დახვდა და გააცილა ნ. ჩაუშესკუმ.

●

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (საკდესი). დღეს პრეზიდენტმა დე გოლმა მიიღო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გ. მაურერი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება აქ. გაიმართა საუბარი, რომლის მსვლელობაში განიხილეს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივები.

●

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲗᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ

ᲐᲚᲟᲘᲠᲘ, (საკდესი). დაიღუპა 100-ზე მეტი კაცი, დაშავდა ორასამდე, თითქმის სავსებით დაიწვა შენობები 500 მეტრ რადიუსში აფეთქების ადგილიდან, ასეთია ალჟირის გაზეთების მონაცემებით ჯერ კიდევ არასრულად აღრიცხული შედეგი საბრძოლო მასალის აფეთქებისა ეგვიპტის ხომალდ „ალექსანდრიის ვარსკვლავზე“, რომელიც 23 ივლისს საღამოს მოხდა.

როგორც დამსწრენი იტყობინებიან, აფეთქების ძალა იმდენად დიდი იყო, რომ ქალაქის თითქმის ყველა სახლში ჩაიმსხვრა მინები და ვიტრინები. ძალიან დაზიანდა კარუბიეს ჰოსპიტალი, რომელიც 500 მეტრით და მეტით არის დაშორებული აფეთქების ადგილს და სხვა ნაგებობანი. რამდენიმე ტონა წონის გემის ნამსხვრეგები ასობით მეტრზე გაიფანტა. ქალაქში დაწყვეტილია ელექტროგადაცემის საჰაერო ხაზები, დაირღვა წყალსადენისა და კანალიზაციის მუშაობა.

ყველა დაზარალებულს დაუყოვნებლივ აღმოუჩინეს დახმარება. გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ იმ ორმოს, რომელიც შესარულეს საბჭოთა და ბულგარელმა ექიმებმა აფეთქებისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენაში. ეს ექიმები მუშაობენ ქალაქ ანაბის ჰოსპიტლებსა და საავადმყოფოებში. ისინი ეხმარებოდნენ დაჭრილებს 24 ივლისს ღამით და მთელი დღის განმავლობაში.

გაზეთი „პეპლი“ წერს ალჟირელ რკინიგზელთა თავდადებულ მუშაობაზე, რომელმაც საშინელი საფრთხის პირობებში ხელით გამოიყვანეს ნავსადგურიდან 10 ვაგონი საბრძოლო მასალით, რომლებიც ძალიან ახლოს იდგნენ გემთან, მიუხედავად იმისა, რომ გემზე გრძელდებოდა აფეთქებები. აშკარად ალჟირის ხელისუფალნი აწარმოებენ აფეთქების მიზეზთა გამოძიებას. მაგრამ აქედანვე ხულ უფრო ცხადი ხდება, რომ ეს აფეთქება ალჟირის რევოლუციის მტერთა საზარელი დანაშაულია. გაზეთი „პეპლი“ პირდაპირ აღნიშნავს „გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ აფეთქება მოხდა დივერსიის შედეგად, რომელიც უცხოეთის აგენტებმა მოაწყეს“...

„ალჟე რესპუბლიკენი“ წერს: „ეს კატასტროფა ემთხვევა ალჟირის შინაური მტრების განზრახვებს და უეჭველია, რომ იგი კონტრრევოლუციის ნახელავია. ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ხელმძღვანელობას მოპყავს მთელი რიგი ნიშნები, საიდანაც შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ეს დივერსიაა“.

გუშინ გაიმართა ალჟირის მშრომელთა საყოველთაო კავშირის ეროვნული სამდივნოს სასწრაფო თათბირი. თათბირმა მოიწოდა ალჟირის ყველა მშრომელს გაარკვიეთ სიფხიზლე, რათა ჩაფუშოს იმპერიალისტების და მათი აგენტების ზრახვები.

24 ივლისს ქალაქ ანაბაში გაიმართა „ალექსანდრიის ვარსკვლავზე“ მომხდარი აფეთქების 18 მსხვერპლის დაკრძალვა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ—ᲙᲣᲑᲐᲡ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ საზღვაო სავაჭრო პორტში მიმდინარეობდა საოჯახო თბომავალის „კიმოვსკის“ დატვირთვა საექსპორტოდ გასაგზავნი საქონლით.

პორტალური ამწეები სავაჭრო გემის ტრიუმში უშვებდნენ მკვრივად შეკრულ ყუთებს, რომელებსაც ჰქონდა ჩვეულებრივი საექსპორტო დამღა — „გაკეთებულია სსრ კავშირში“. იმის მიხედვით, თუ როგორი სიფრთხილით მოქმედებდნენ მეამწენი და მტვირთავები ყუთების გადატანისას, უნდა გეფიქრა, რომ ტვირთი ჩვეულებრივი არ იყო.

—რა არის ამ ყუთებში? — შეეკითხეთ სტივიდორს, რომელიც დატვირთვას ხელმძღვანელობდა.

— საწარმოო პროდუქცია, — მოკლედ გვიპასუხა მან — ჩვეულებრივი ტვირთია ჩვენთვის.

ყუთებში იყო მაგნიტური გამშვებები, თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ ნაწარმი. მართლაც. პორტის მუშაკთათვის ეს „ჩვეულებრივი ტვირთია“, მაგრამ როგორლა აეხსნათ ის განსაკუთრებული სიფრთხილე მეამწეებისა და მტვირთავების მუშაობისას?

— უშუალოდ — თქვა სტივიდორმა, — ჯერ ერთი, ქარხანა „ელექტროგამშვების“ პროდუქციას ვაგზავნით მოძმე კუბაში, მეორეც იმით, რომ ეს პროდუქცია განკუთვნილია კუბის მნიშვნელოვანი ობიექტების — მძლავრი თბოელექტროსადგურების მშენებლობისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება მარიელსა და სანტიაგო-დე-კუბაში.

ლენინგრადის საზღვაო პორტში თავს იყრის კუბისათვის გასაგზავნი თითქმის მთელი პროდუქცია და ძალიან ხშირად მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა პროდუქციის გვერდით ვხვდებით ჩარხებს, მანქანებს, ხელსაწყობებს საქართველოს ქარხნების მარკით. ამჯერად თბილისიდან მიღებული იყო მაგნიტურ გამშვებთა პარტია, რომელსაც ყურადღებით და ფრთხილად ალაგებდნენ თბომავალ „კიმოვსკის“ ტრიუმებში.

ჩვენ ვცადეთ რუკაზე გავყოლოდით საქართველოში დამზადებული პროდუქციის დიდ მოგზაურობას. „კიმოვსკის“ ტრიუმებში ჩალაგებულმა ტვირთმა გაიარა ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვები, სკაგერაკისა და კატეგატის სრუტეები, ბურუსიანი ლა-მანში და ახლა მრისხანე ატლანტიკის თვალუწვდენ სივრცეებს შეუტია.

ადვილი და ამავე დროს ძნელიც არის ეს გზა. ამიტომ ასე მოუთმენლად ველოდით ცნობებს თბომავალიდან. და აი რადიოგრამაც. კაპიტანი იერონოვი იტყობინება. გემის რეისი, რომელზეც კუბის თბოელექტროსადგურებისათვის განკუთვნილი ტვირთია, არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობს. ატლანტიკის ცენტრალურ ნაწილში მოუხვდით შტორმში, რომელიც რამდენიმე დღეღამის განმავლობაში მძვინვარებდა და ხელს უშლიდა გემის ნორმალურ სვლას. მაგრამ მიუხედავად სიძნელეებისა, ეკიპაჟი უზრუნველყოფს გრაფიკის შესრულებას.

კიდევ რამდენიმე რადიოგრამა და აი უკანასკნელიც, ყველაზე სასიხარულო. „კიმოვსკმა“ ღუზა ჰავანის პორტის რეიდზე ჩაუშვა. ტვირთი დროზე და უდანაკარგოდ ბარდება კუბელ მეგობრებს.

** Მ. ᲞᲘᲚᲜᲯᲘᲙᲝᲕᲘ,**

გაზეთ „მორიაკ ბალტიკის“ რედაქციის თანამშრომელი.

სურათზე: თბომავალი „კიმოვსკი“ თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ პროდუქციით ტოვებს ლენინგრადის პორტს და გეზს კუბის ნაპირებისაკენ იღებს.

ფოტო ავტორისა.

ᲤᲣᲚᲡ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲓᲘᲐᲜ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. საკდესის კორესპონდენტი ი. პონომარიოვი იუწყება: საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ჟორჟ პომპიდუს ბედმა უმტყუნა... ამ დღეებში პრემიერმა, როცა ოფიციალურ ვიზიტად იყო პაპეეტში (ტაიტი), სხვათა შორის შეიარა ბაზრობაზე. მან გადაწყვიტა ეცადა ბედი და იყიდა ფრანსუაზეერიანი ლატარიის ბილეთი. პომპიდუს ნომერი ეიღალო და ფული ამაოდ დიკარგა.

თუ პარიზის ზოგიერთ გაზეთს დავუჯერებთ, „ბაზრობაზე ეს მომხიბვლელი თავგადასავალი“ პრემიერის ტაიტიში მოგზაურობის თითქმის მთავარი მოვლენაა. ნამდვილად კი პომპიდუ აქ სულ სხვა რამისთვის ჩავიდა. იგი ამ დღეებში ინსპექციას უწევს საფრანგეთის ატომური გამოსაცდელი ცენტრის მშენებლობის სამუშაოებს.

გაზეთები აქვეყნებენ ახალ დეტალებს, რომლებიც შეიხება ეგრეთწოდებული ეროვნული ატომური „დამკვრელი ძალის“ შექმნას. გაზეთი „ეკო“ მკითხველებს აცნობს წყნარ ოკეანეში ატომური პოლიგონების მშენებლობის გეგმას და აღიარებს, რომ ეს პოლიგონები „ძვირადღირებული წამოწყებაა“.

მეკვირეტყველური ცფრები მოპყავს გაზეთ „ლუმანიტეს“: სპეციალისტთა აზრით, „დამკვრელი ძალის“ შექმნის პროგრამა 1970 წლამდე მოითხოვს ხარჯებს, რომლებიც ასტრონომიულ თანხას — 70 მილიარდ ახალ ფრანკს შეადგენს. ატომური და წყალბადის ბომბები, განაგრძობს გაზეთი, ფრანგებს დაუჯდებათ 20 მილიარდი ფრანკი. „ლუმანიტე“ მოაგონებს მკითხველს, რომ „დამკვრელი ძალა“ ვერ მოუტანს საფრანგეთს ნამდვილ უშიშროებას და სახსრები, რომლებიც მის შექმნას მოხმარდება, არსებითად, წყალში გადაყრილი ფული იქნება.

მილიონობით ფრანგის აზრით, აზარტული თამაში, რომელიც „დამკვრელი ატომური ძალის“ შექმნის ინიციატორებმა წამოიწყეს, წინასწარ განწირულია ჩასაფშვ�.

ოღონდ მისი შედეგები გაცილებით უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე პრემიერ-მინისტრის უწყინარი გართობა პაპეეტის ბაზრობაზე. ფულსაც, რა თქმა უნდა, პომპიდუ კი არა, სხვები გადაიხდიან.

ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲠᲝᲠᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. საკდესის კორესპონდენტი ფრიმენი იტყობინება: რასისტები კვლავ იყენებენ ტერორის მეთოდებს, რათა დაამინონ მოქალაქეობრივ უფლებებისათვის მებრძოლნი, რომლებიც გაეშართნენ მისისიპის შტატში, რომ გაამლონ კამპანია ზანგთა თანაბარი უფლებებისათვის. გასული კვირის დამლევს რასისტებმა გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი, ბომბები, ცეცხლგამჩენი ნარევის ბოთლები და ცრემლსადენი გაზი ზანგებისა და თეთრკანიანების წინააღმდეგ — მოქალაქეობრივ უფლებებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ მისისიპის ხუთ დასახლებულ პუნქტში.

ქალაქ ხატისბერგში ცეცხლგამჩენი ნარევის ბოთლი აფეთქდა ამ სახლის აივანზე, რომელშიც ცხოვრობენ ზანგები — მოქალაქეობრივ უფლებებისათვის მებრძოლი ნეგროს ოჯახი. ეს ოჯახი ადრე ეკუთვნოდა ერთ-ერთ ადგილობრივ ფაბრიკანტს, ამ ფაბრიკანტმა ეს ოჯახი ერთ-ერთ ადგილობრივ ფერადკანიანს, ანუ ზანგს, ანდერძად დაუტოვა. ეს ადგილობრივი ფერადკანიანი ამ ოჯახში ცხოვრობდა ოცი წლის განმავლობაში. ეს ოჯახი ეკუთვნოდა ერთ-ერთ ადგილობრივ ფერადკანიანს, ანუ ზანგს, ანდერძად დაუტოვა. ეს ადგილობრივ

სიყვარულის მელოდიები

ქართველი მსახიობები ლენინის ქარხანაში

მოსკოვი. 28 ივლისი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს დილით თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობები სტუმრად იყვნენ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომექანიკურ ქარხანაში.

ქარხნის შესასვლელში ქართველ მსახიობებს, რომლებიც აქ ავტობუსით მოვიდნენ, შეეგებნენ დირექტორი ა. ალოვი, პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. პოპოვი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. დმიტრიევი და სხვები.

თავდაპირველად ქართველი მსახიობები ლენინის ძეგლის დასათვალიერებლად მიიწვიეს. ეს ძეგლი, რომელიც შექმნილია მოქანდაკე ს. მერკულოვის პროექტით, იმ ადგილზე დგას, სადაც 1918 წლის 30 აგვისტოს ვ. ი. ლენინზე თავდასხმა მოაწყეს ხალხისა და რევოლუციის მტრებმა. შემდეგ მსახიობებს მოკლედ გააცნეს ქარხნის ისტორია, რომელიც 125 წელზე მეტს ითვლის.

ამასობაში ქარხნის ეზოში, სადაც კონცერტის გასამართავად მოწყობილი იყო სახელდახელო „ღია ესტრადა“, შეიკრიბა მრავალათასიანი კოლექტივი. მათ ქართველ მსახიობთა სახელით მიესალმა თეატრის დირექტორი არჩილ ჩიმაკაძე.

კონცერტში, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, მონაწილეობდნენ ვ. გლუნჩაძე და რ. კაკაბაძე (აბესალომისა და მურმანის დუეტი), ნ. ტუღუში (როზინას არია „სევილიელი დალაქიდან“, ჭრიჭინას სიმღერა კინოფილმ „ჭრიჭინადან“), პ. თომაძე (უკრაინული ხალხური სიმღერა — „ხელში ავიღებ ბანდურას“), ბალერინა ე. გელოვანი (დელიბის ვალსი), შ. მეძველია და გ. ტორონჯაძე (სიკოსა და საქოს დუეტი ოპერა „ქეთო და კოტედან“), რ. კაკაბაძე (ტორეადორის არია ოპერა „კარმენიდან“), რ. გლურჯიძე (კავარადოსის არია ოპერა „ტოსკადან“), ლ. გოცირიძე და ვ. გლუნჩაძე („კარმენის“ ფინალური სცენა), ბ. კრავეიშვილი (მასხარას კუპლეტები ზ. ფალიაშვილის ოპერა „ლატავრადან“ და რუსული ხალხური სიმღერა „ეი, უხნემ“).

კონცერტის დასასრულს ქარხნის პარტკომის მდივანმა ნ. პოპოვმა კოლექტივის სახელით მადლობა გადაუხადა ქართველ მსახიობებს მშვენიერი კონცერტისათვის და საზეურად გადასცა წიგნი „ქარხნის ისტორია“.

საღამოს ყრილობათა სასახლის სცენაზე განმეორებით იქნა წარმოდგენილი „ბალეტის საღამო“.

შთაბეჭდილებათა წიგნი მოგვითხრობს

მოსკოვი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.) თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლების ამსახველი შთაბეჭდილებათა წიგნი ხელიდან ხელში გადადის კრემლის ყრილობათა სასახლის თეატრალურ დარბაზში. ქართული ვოკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნებით აღფრთოვანებული მაყურებლების კეთილი სურვილებთან არის სავსე წიგნის ფურცლები. მსოფლიოს 40-მდე ენაზე ნახავთ აქ მოწონების გამომხატველ გულთბილ ჩანაწერებს.

დღეს გვინდა ამ აუარაცხელი ჩანაწერებიდან რამდენიმე გავაცნოთ „კომუნისტის“ მკითხველებს.

რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს, ბალერინა ირინე ტიხომირნოვას ს. ცინცაძის „დემონის“ ნახვის შემდეგ ჩაუწერია:

„დიდი სიამოვნებაა მომანიჭა სპექტაკლმა „დემონმა“, განსაკუთრებით მისმა დამდგმელმა და მთავარი როლის შემსრულებელმა. სახელგანთქმულმა ვახტანგ ჭაბუკიანმა“.

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის სახალხო მხატვარს ა. სეროვს თავისი შთაბეჭდილება ასე გამოუხატავს:

„სპექტაკლები ძალიან მოგვეწონა, განსაკუთრებით — ქართველ მხატვართა თეატრალური ნამუშევრები. ნამდვილად მოწოწინების ღირსნი არიან სოლისტებიც. უველაფერი კარგია! მადლობა, დიდი მადლობა!“.

კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირიორი პ. ერიომენკო წერს:

„დიდი მადლობა იმ მაღალი ესთეტიკური სიამოვნებისათვის, რომელიც თქვენ მოგვანიჭეთ, ძვირფასო ქართველო მეგობრებო, ბრავო ბალეტს! ბრავო ვახტანგ ჭაბუკიანს! ბრავო მშვენიერ, შეხმატკბილებულ ორკესტრს!“.

სსრ კავშირის სახალხო არტისტს ი. კოზლოვსკის და დიდი თეატრის მთავარ დირიორს ე. სვეტლანოვს პეტრე ამირანაშვილის მისამართით ჩაუწერიათ:

„მოგესალმებით მშვენიერ კოლექტივში. თქვენი ხელოვნების გულწრფელი თაყვანისმცემლები“.

შემდეგ კი, ქვემოთ, ი. კოზლოვსკი ცალკე წერს:

„მღელვარებითა და აღტაცებით მოვისმინე სპექტაკლები და გამახსენდა ჩემი ახალგაზრდობის წლები, როცა თქვენი თეატრის სცენაზე გამოვდიოდი. მადლობა მეგობრებო! გისურვებთ ყოველივე კეთილს ცხოვრებასა და ბელოვნებაში!“.

* * *

□ სურათზე, რომელიც გადაღებულია სპექტაკლ „ფაუსტის“ შემდეგ კრემლის ყრილობათა სასახლეში, თქვენ ხედავთ სსრ კავშირის სახალხო არტისტებს პ. ამირანაშვილს (ვალენტინი), ი. კოზლოვსკის (რომელმაც მხურვალედ მიულოცა ქართველ მსახიობებს წარმატება), რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს თ. მუშკუდიანს (მეფისტოფელი) და ოპერის სოლისტს ა. ბაბუას (ფაუსტი).

ფოტო ა. სოტნიკოვისა.

ს. აპრესიანის სამი გოლი

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 5:1 (1:1). თბილისი. 28 ივლისი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ვ. სამოლოვი (ლენინგრადი).

„ურალმაში“ — ჩემოდანოვი, რისევი, ტერეშენოვი, პოგორელოვი, ფეოკტისოვი, სისიანენი, ლუგოვნი, სტაფიოროვი, ოხრენჩუკი, ბავრილოვი, ობრეკალინი (მოროზოვი); „ლოკომოტივი“ — რუხაძე, ჩხაიძე, ჩუბინიძე, წოწელია, კიზირია, იაშვილი, შაფათავა, აპრესიანი, მირომნიკოვი, ახალკაცი, კოშკელოვი.

ბრძოლა პირველ ტაიმში ხასიათდებოდა გარდამავალი უპირატესობით. დასაწყისშივე მეტოქეებს ჰქონდათ შესაძლებლობა წარმატებისათვის მიეღწიათ, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები გამოუყენებელი დარჩათ.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. ეს მოხდა პირველი ნახევრის მე-16 წუთზე. გოლის ავტორი იყო ობრეკალინი.

ტემპმა იმატა, ლოკომოტიველები მთელი დატვირთვით ჩაებნენ ბრძოლაში და შედეგს კონტრთამაშის შექმნა. ტაიმის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე აპრესიანმა საპასუხო ბურთი გაიტანა.

პირველი ნახევრის შედეგი იყო 1:1.

მეორე ნახევარი უფრო მძაფრი და მიმზიდველი, ამასთანავე უხვგოლიანი გამოდგა. ორივე გუნდი მაქსიმალური დატვირთვით იბრძოდა წარმატებისათვის, მაგრამ ამას მხოლოდ მასპინძლებმა მიაღწიეს. ერთ-ერთი კომბინაციის შემდეგ 56-ე წუთზე იაშვილმა შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმით თავის გუნდს წარმატება მოუტანა. ამას მოჰყვა აპრესიანის ორი გოლი, ხოლო თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე კოშკელოვმა მეხუთე ბურთი გაიტანა „ურალმაშის“ კარში.

ლოკომოტიველებმა წარმატებით ჩაატარეს მატჩი, გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1 და თვალსაჩინოდ გაიუმჯობესეს მდგომარეობა სატურნირო ცხრილში.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა პაექრობაშიც თბილისელებმა გაიმარჯვეს 2:1.

* * *

გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივმა“ დაამარცხა „კარპატი“ 2:1, ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“ — „ალგა“ 3:1, „დნეპრმა“ — ტალინის „დინამო“ 3:2, „არარატისა“ და ვორონეჟის „ტრუდის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.

სპორტული ქრონიკა

□ **სსრ კავშირის** ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები ტურნეს მართავენ ინგოლსტადიაში. პირველი მატჩები მათ ჰქონდათ დუბროვნიკში. მოოლოდნელი იყო მსოფლიოს ჩემპიონის საბჭოთა ფრენბურთელ ვაჟთა გუნდის დამარცხება იუგოსლავიის ნაკრებთან 0:3 (12:15, 8:15, 15:17). სამაგიეროდ, ჩვენმა ქალთა გუნდმა სძლია მეტოქეს — იუგოსლავიის ნაკრებს 3:0 (15:5, 15:6, 15:2).

□ **კრასნოდარში**, სადაც მომდინარეობს სტუდენტთა ოლიმპიადა ჭადრაკში, გათამაშდა მეხუთე ტური. ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების — სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდების პაექრობა. გიმიარჯვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა ანგარიშით 3:1.

ხუთი ტურის შემდეგ ლიდერია სსრ კავშირის გუნდი, რომელსაც 20-დან 15 ქულა აქვს. უნგრელ მოჭადრაკეებს 13 ქულა აქვთ. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს — 12,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

კომუნისტი

ამბები, ცნობები



გვაცნობინებენ „კომუნისტის“ მკითხველები, კორესპონდენტები

მკითხველის კალმით

აბარის პიონერთა საოლქო სახლმა ამას წინათ მოაწყო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით ბათუმი-ქობულეთი-ჭიბათი. ნორჩი ტურისტები ეცნობოდნენ კინტრიშის ხეობას, რომელიც განთქმულია ისტორიული ძეგლებით.

ნ. პავლოვა.

ზუგდიდში შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელები: ვ. ჯორჯიკია და ე. თოდუა), რომელშიც 70-ზე მეტი კაცია გაერთიანებული. რამდენიმე დღის წინათ მსატვრული კოლექტივი პირველად წარსდგა ზუგდიდელთა წინაშე.

გ. ალშიბაია.

ცხაკაიას რაიონის სოფელ თაიას მცხოვრებლებმა ელექტროენერგია მიიღეს სკურჩესიდან. ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნდა კოლმეურნეთა საცხოვრებელი ბინები.

ა. ჩარკვიანი.

კონგრესისადმი მიძღვნილი

სულ რამდენიმე დღე, და ჩვენი ქვეყნის გული — მოსკოვში მუშაობას დაიწყებს ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VII საერთაშორისო კონგრესი. მეცნიერთა ამ დიდი ფორუმისათვის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოუშვეს კონგრესისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურა.

გამოცემულ ლიტერატურაშია მონოგრაფიები: ჯ. რუხაძის, ალ. ლეკიაშვილის, ი. ჭყონიასი — სოფელი აკურა, რ. ხარაძის და ა. რობაქიძისა — სვანეთის სოფელი, ნ. რეხვიაშვილისა — ქართული ხალხური მეტალურგია, ავტორთა კოლექტივი — ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, ლ. ვირსალაძისა — ქართული სამონადირეო ეპოსი, ა. სოხაძისა — ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან, თ. ონიაურისა — ხევსურეთში, ჯ. სონღულაშვილისა — მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის და სხვ.

გამოვიდა კრებულები ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის დარგში. ახალგაზრდა ეთნოგრაფების მიერ მომზადებულია კრებული — საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, კავკასიის ეთნოგრაფიის კრებული.

საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების მუშაკებმა მოამზადეს სპეციალური კატალოგები და ლამაზად ილუსტრირებული ფერადი ალბომები.

კონგრესისათვის დაიბეჭდა ქართული ეთნოგრაფიული ექსპონატების ფერადი ღია ბარათები, თვითეული 30.000 ცალი ტირაჟით.

ღია ბარათებზე გამოსახულია თრიალეთის თასი (XV საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ბრინჯაოს ჯანდაკება (VI საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ყელსაბამი (XII საუკუნე), მარანი (XIX საუკუნე) და სხვ. სულ 20 დასახელების ღია ბარათები.

* * *

სურათზე: კონგრესისადმი მიძღვნილი ლიტერატურა.

მეშახტეები სცენაზე

მეშახტეთა ქალაქის მშრომელები ინტერესით ხვდებიან ლენინის სახელობის შახტის კლუბთან არსებული დრამატული კოლექტივის დადგმებს. ამ დღეებში სცენისმოყვარეებმა, ტყიბულის სახალხო თეატრის მთავარი რეჟისორის ნელი ჭანტურიას დახმარებით განახორციელეს მორიგი დადგმა — ა. უმბრიევის პიესა „სამი უბედური“.

სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ მიწისქვეშა გაყვანილობის უფროსი მ. გგენეტაძე, ზეინკალი ვ. ოდილაძე. მეელფე-მესახელური თ. აბესაძე, მიწისქვეშა სამუშაოთა ციკლის უფროსი ლ. კალატოზიშვილი, ქვესადგურის მორიგე თ. ტორონჯაძე.

ი. ჟარჟაშაძე.

მ. გეგეშიძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების გამგემ, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **მიხეილ კირილეს-ძე გეგეშიძემ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე — **„სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ბ. კ. გეგეშიძისათვის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. **გენეტიკისა და ბიოფიზიკის განყოფილება** — უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, **2 ერთეული**; 2. **მეცხვარეობის განყოფილება** — უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, **1 ერთეული**; 3. **მატყლისმცოდნეობის ლაბორატორია** — უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, **1 ერთეული**; 4. **ტოქსიკოლოგიის ლაბორატორია** — უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, **1 ერთეული**.

უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური ადგილების დასაკავებლად **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მეცნიერების კანდიდატებს და შესატყვისი სპეციალობის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს.**

კონკურსის ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნების დღიდან. განცხადება და სათანადო საბუთები (**კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, სამეცნიერო ხარისხის და წოდების, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ნოტარულად დამოწმებული პირი, დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან, დაბეჭდილი სამეცნიერო შრომებისა და გამოგონებათა სია**) შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე შემდეგი მისამართით: **ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 13, ტელეფონი 2-35-10.**

ცეკავშირის თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმის დირექცია

აცხადებს, რომ მისაღები გამოცდები ტექნიკუმის დასწრებულ განყოფილებაზე 1 აგვისტოს ნაცვლად გადატანილია 10 აგვისტოსათვის, დაუსწრებელ განყოფილებაზე — ნაცვლად 10 აგვისტოსი 20 აგვისტოსათვის.

ტექნიკუმის დირექცია.

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამინისტროს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1964 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

წარმოებისაგან მოწყვეტით: 1. ჰიდროტექნიკური მშენებლობა და ნაგებობანი (ერთი); 2. მელიორაცია და სარწყავი მიწათმოქმედება (სამი).

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ: 1. ჰიდროტექნიკური მშენებლობა და ნაგებობანი (ერთი); 2. მელიორაცია და სარწყავი მიწათმოქმედება (ერთი).

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან საბჭოთა კავშირის მოქალაქენი არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, რომლებსაც აქვთ დამთავრებული უმაღლესი სასწავლებელი და საწარმოო სტაჟი არჩეული სპეციალობის მიხედვით არანაკლებ ორი წლისა.

ასპირანტურაში შემსვლელნი აბარებენ საკონკურსო გამოცდებს უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის მოცულობით შემდეგ დისციპლინებში: **სპეციალობის მიხედვით, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.**

განცხადებები ასპირანტურაში მიღების წესებით გათვალისწინებული საბუთების თანდართვით შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე.

განცხადებები მიიღება მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე. **მისაღები გამოცდები** მოეწყობა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრამდე.

ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის სწავლულ მდივანთან. ტელეფონი 2-32-56.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, № 60, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1964-65 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობათა მიხედვით:

დასწრებული ასპირანტურა — ჰიდროელექტროსადგურები და ჰიდროენერგეტიკული დანადგარები — **1 ადგილი**, ჰიდრავლიკა და საინჟინრო გეოლოგია — **1 ადგილი**, თბოტექნიკის თეორიული საფუძვლები — **1 ადგილი**, საწარმოო თბოენერგეტიკა — **1 ადგილი**.

ასპირანტურაში შემსვლელნი საკონკურსო გამოცდებს აბარებენ **სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიაში** და **ერთ-ერთ უცხო ენაში** უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო პროგრამების ფარგლებში.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები ორ ცალად: 1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით. 2. ნოტარულად შემოწმებული დიპლომის პირი, 3. ცნობა პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ და ამონაწერი რეკომენდაციის შესახებ სამეცნიერო საბჭოს დადგენილებიდან, 4. მოწმობა ფორმა № 6 იმ პირებისათვის, ვისაც ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, 5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია, ცნობები გამოგონებათა, საცდელ-საკონსტრუქტორო ნაშრომთა შესახებ და დასკვნები მათზე.

იმ პირებმა, რომელთაც გამოქვეყნებული შრომები არა აქვთ, სპეციალურ საგანში უნდა წარმოადგინონ სამეცნიერო მოხსენება (რეფერატი) **ერთ ცალად.**

განცხადება მიიღება მიმდინარე წლის **1 სექტემბრამდე**. მისაღები გამოცდები იწყობოდეს **5 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე.**

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის სწავლულ მდივანთან. **მისამართი: თბილისი, ზოია რუხაძის ქ. № 1. ტელ. 7-17-40.**

ბ. ბერიკაშვილი — ბ. ბერიკაშვილი

ბ. ბერიკაშვილი — ბ. ბერიკაშვილი